პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган ректората, парткома, профкома, месткома и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

| № 24 (85) | გამოცემის მეხამე წელი<br>სამშაბათი, 29 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ. |
|---|---|---|

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამ დღეებში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საგაზაფხულო თესვის შედეგების, ნათესების მოვლის, მოსავლის აღებისათვის მზადებისა და 1954 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფის საკითხი. პლენუმმა ამ საკითხზე მოისმინა და განიხილა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ი. ა. ბენედიქტოვის, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. პ. პ. ლობანოვის, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობის მინისტრის ამხ. ა. ი. კოზლოვის, რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის ამხ. ტ. ა. იურკინის და სსრ კავშირის დამზადებათა მინისტრის ამხ. ლ. რ. კორნიეცის მოხსენებანი და მიიღო სათანადო დადგენილება.

# გულმოდგინედ შევარჩიოთ მისაღები კონტინგენტი

ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და კულტურული მშენებლობის შემდგომი აღმავლობის ახალი ამოცანები, რომელიც სკკპ XIX ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმებმა დასახეს, პირველ რიგში კადრების მომზადების გადაჭრით გაუმჯობესების საკითხს აყენებს. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება დიდადაა დამოკიდებული უმაღლესი სკოლის სწორ დაკომპლექტებაზე. ამიტომ უნივერსიტეტში სტუდენტთა ახალი შევსების საქმეს წელს კიდევ უფრო მეტი სერიოზულობით უნდა მოვკიდოთ ხელი და პასუხისმგებლობაც მეტი უნდა ვიგრძნოთ ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის წარმატებით შესრულებისათვის. სტუდენტთა ახალი კონტინგენტით შევსება უმაღლესი სკოლის მუშაობის ერთი ყველაზე უფრო რთული და სერიოზული საქმეა. გაზ. „პრავდა" წერდა: „უმაღლესი სასწავლებლების მიმღებმა კომისიებმა ფართოდ და ყოველმხრივ უნდა განუმარტონ ახალგაზრდობას მიღების წესები და სპეციალობათა ხასიათი. ეს დაეხმარება ქალიშვილებსა და ჭაბუკებს აირჩიონ სპეციალობა თავისი სურვილისა და უნარის შესაბამისად".

ჩვენთან მიღების საქმეს ყოველთვის ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ, ამასთანავე, მას მაინც სდევდა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა შორის საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

1. მთავარი ნაკლი ის იყო, რომ ცალკეული ფაკულტეტებზე კონტინგენტის შერჩევაში და განსაკუთრებით საშუალო სკოლის მედალოსანთა შერჩევა-მიღების საქმეში სათანადოდ არ მონაწილეობდნენ (ან სრულებითაც არ მონაწილეობდნენ) ფაკულტეტის დეკანები და წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. შემომსვლელთ არ ეძლეოდათ სრული ახსნა-განმარტება მათ მიერ არჩეული დარგის პერსპექტივებზე, მნიშვნელობაზე, მიზნებზე და ამოცანებზე. მთავარი მაინც ისაა, რომ აბიტურიენტს წინასწარ განემარტოს სპეციფიკური ხასიათის ის სიძნელეები, რაც მას არჩეულ დარგზე შეხვდება. ეს რომ ჯეროვნად არ კეთდებოდა, ამითაც აიხსნება, რომ სასწავლო წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ადგილი ჰქონდა მედალოსანთა განთესვას ფიზიკის, მექანიკა-მათემატიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის და თითქმის ყველა ფაკულტეტიდან. ამასთან, რასაკვირველია, განთესვის მიზეზი თვით ზოგიერთი მედალოსნის სუსტი მომზადებაც იყო.

2. ცალკეული საგამოცდო კომისიების მუშაობა ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ასე, მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისია შემომსვლელთ სრულად არ უყენებდა იმ მოთხოვნებს, რაც საგამოცდო პროგრამით იყო გათვალისწინებული. აბიტურიენტებს გამოცდაზე უმთავრესად ცდიდნენ ლიტერატურაში და ამით წყვეტდნენ შეფასების საკითხებს ენაშიც... ნაკლებად ეკითხებოდნენ გრამატიკის საკითხებს, რასაც საგამოცდო პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ასე მაგალითად, ასეთი წესით შეფასებულმა ერთმა აბიტურიენტმა 5-ძემ, რომელმაც ფრიადი ნიშანი მიიღო და შემდეგ კიდეც იქნა უნივერსიტეტში ჩარიცხული, წინადადების გარჩევის დროს განაცხადა — „უნივერსიტეტი" გარდამავალი ზმნა არისო.

ჩვენი აზრით, რუსული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისიამაც უნდა აწიოს მოთხოვნის დონე და დაუახლოვოს იგი დაწესებულ საგამოცდო პროგრამას, განსაკუთრებით წერაში, სადაც წინა წლებში კარნახის ტექსტი იყო მოკლეცა და შედარებით მარტივიც.

3. წინასაგამოცდო პერიოდში კონსულტაციები უფრო ფორმალურად ტარდებოდა. ვის რაში გამოადგება, მაგალითად, ისეთი კონსულტაცია, რომელსაც 200—300 კაცი ესწრება!?

4. მეტი აქტივობა ევალებათ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით გამოცდებისათვის მზადების პერიოდში.

როდესაც I კურსზე მისაღები კონტინგენტის შერჩევაზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მედალოსნებიც, მიუხედავად იმ პრივილეგიისა, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული. მედალოსანთა შერჩევის მიზნით გასულ წლებში მათთან გასაუბრებას ატარებდა მიმღები კომისია, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგიერთ ფაკულტეტზე შემსვლელებთან. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ასეთი გასაუბრება ფრიად საქმიანი შედეგის მომტანი ღონისძიებაა. მედალოსანთა შერჩევის საქმეში ჩვენ მთლიანად უნდა მივბაძოთ მოსკოვის უნივერსიტეტის პრაქტიკას. გასაუბრება ერთი მხრით ცხადყოფდა, თუ რამდენ ამაღლდა ჩვენი საშუალო განათლების დონე, ავლენდა კარგი ნიჭისა და განათლების მქონე არაერთსა და ორ ახალგაზრდას, რომელიც დღეს ჩვენს კოლექტივს ამშვენებს, როგორც საუკეთესო სტუდენტი და მომავალი მაღალკვალიფიციური კადრი. მეორე მხრით, ასეთი გასაუბრების შედეგად, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც არ გააჩნდათ ის აუცილებელი ცოდნაც კი, რაც სამოსანს მოეთხოვება. ასე მაგალითად, ხაშურის ვიეთი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ მედალოსანს, ვინმე ფ-ძეს არც კი გაუგონია სახელი ცნობილი ქართველი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანისა, რომლის სამშობლო სოფელი იყო ქვეშხეთი,—ხაშურის მახლობლად მდებარე სოფელი, მან არაფერი იცოდა სოფრომ მგალობლიშვილისა და ზოგი სხვა მწერლის შესახებ. ამავე დროს, ეს მედალოსანი ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ჟურნალისტიკის სპეციალობით აპირებდა შემოსვლას.

უკეთესი კონტინგენტის შერჩევისათვის უნდა ვიმუშაოთ ყველამ, უწინარეს ყოვლისა დეკანებმა და საპროფილო კათედრის გამგეებმა. ამ მიზნით, ვფიქრობთ, საჭიროა:

1. ყველა აბიტურიენტს შეხვდეს დეკანი, მისცეს სრული ახსნა-განმარტება ფაკულტეტის შესახებ, წინასწარ გააცნოს ის სპეციფიკური სიძნელენი, რომელიც მას არჩეულ დარგზე შეხვდება, აუხსნას მისი მიზნები და ამოცანები; გამოცდების დაწყების წინა დღეებში ყველა დეკანმა ჩაატაროს მისდამი რწმუნებულ ფაკულტეტზე შემსვლელთა შეკრება.

2. ივლისის თვეში წამყვანი პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ აბიტურიენტებისათვის სისტემატურად ტარდებოდეს მიმოხილვითი ლექციები მეცნიერების ცალკეული დარგების მდგომარეობის, პერსპექტივებისა და მნიშვნელობის შესახებ სახალხო მეურნეობისა და კულტურული აღმშენებლობისათვის.

3. მივბაძოთ მოსკოვის უნივერსიტეტს და ყველა ფაკულტეტზე შემსვლელ მედალოსნებთან ჩავატაროთ გასაუბრება, მივცეთ რჩევა-დარიგება და ვეცადოთ მათი მისწრაფების რეგულირებას მათივე ცოდნის, ნიჭისა და უნარის მიხედვით, სახელმწიფოს მოთხოვნილებისამებრ.

4. საგამოცდო კომისიებმა აბიტურიენტებს მაქსიმალურად მოსთხოვონ იმისი ცოდნა, რაც გათვალისწინებულია დადგენილი საგამოცდო პროგრამის მიხედვით.

უნივერსიტეტის ყველა მუშაკი, რომელიც კი დაკავშირებულია მისაღებ გამოცდებთან, უეჭველია, რომ ამ საქმეს მოეკიდება სახელმწიფოს ინტერესებისათვის საჭირო პასუხისმგებლობითა და მთელი მოქალაქეობრივი შეგნებით.

# მიძღვნილი კონცერტი

27 ივნისს ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანატის, პარტბიუროს, ალკკ ბიუროს და პროფბიუროს ინიციატივით მოეწყო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა დოც. ი. მუჯირმა. კურსდამთავრებულთა წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფაკულტეტის დეკანი დოც. შ. ბერაძე. კურსდამთავრებულებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს პროფესორებმა ს. ბერაძემ, ა. ინწკირველმა, ა. ფანცხავამ და დოც. თ. ლობჟანიძემ. მათ კურსდამთავრებულებს მიულოცეს უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრება და ესაუბრნენ მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ.

კურსდამთავრებულებს ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაციის სახელით მიესალმა ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი ნ. ახალაძე. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კურსდამთავრებულები—შ. ალელაშვილი, ლ. ნიკურაძე და ვ. ახალაია, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათდამი ასეთი მზრუნველობისათვის, აგრეთვე პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ სოციალიზმის მშენებელი კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის. მათ პირობა დასდეს უნივერსიტეტის პედკოლექტივის წინაშე, რომ პრაქტიკული მუშაობით, უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნის მაქსიმალურად გამოყენებით, გაამართლებენ პარტიისა და მთავრობის ნდობას.

ეკონომიურ ფაკულტეტზე სწავლის მთელ პერიოდში წარჩინებული სწავლისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის კურსდამთავრებულებს გადაეცათ ჯილდოები.

საღამოს დასასრულს ფაკულტეტის ძალებით გაიმართა კონცერტი.

ნ. ახალაძე
ა. ჯირკველიშვილი

# ბრძანება

## სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი

26 ივნისი 1954 წ. № 548 ქ. თბილისი

1953 წელს უნივერსიტეტში შესრულებული საუკეთესო მეცნიერული შრომებისათვის პრემიების მისანიჭებლად გამოყოფილი ჟიურის დასკვნისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ა/წ. 21 ივნისის დადგენილების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1953 წლის პირველი პრემია 7500 მანეთის რაოდენობით მიეცეს პროფ. ა. შანიძეს შრომისათვის: „ქართული გრამატიკის საფუძვლები" (უნივერსიტეტის გამოცემა, 1953 წ.).

2. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1953 წლის მეორე პრემია 5000 მანეთის რაოდენობით მიეცეს:

ა) პროფ. ნ. ციციშვილს, ასისტ. ი. კიბარენკოს, დოც. გ. ციციშვილსა და ლაბორანტ ბ. ჩიხლაძეს 1953 წელს გეგმით შესრულებული კოლექტიური შრომისათვის: „საქართველოს ზოგიერთი რაიონის კარტოფილის ქიმიური გამოკვლევა" და

ბ) დოც. შ. ბებიაშვილს 1953 წელს გეგმით შესრულებული შრომისათვის: „კლისტრონული გენერატორის მუშაობის ერთი რეჟიმის შესახებ".

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ე. ბურჭულაძე

# ლვოველი სტუდენტები ჩვენს უნივერსიტეტში

მრავალი სტუმარი სწვევია ჩვენს უნივერსიტეტს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. გულთბილი და გულისხმიერი შეხვედრით უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივმა მრავალი სასიამოვნო მოგონება დასტოვა მათში.

ამასწინათ ჩვენს უნივერსიტეტს ესტუმრა ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი. თბილისში ჩამოსვლამდე ლვოველი სტუმრები ეწვიენ საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვს, მოსკოვიდან სტუმრებმა კურსი აიღეს საქართველოსაკენ. ესტუმრნენ ქ. ორჯონიკიძეს; ალტაიებში მოიყვანა სტუმრები საქართველოს სამხედრო გზის მშვენებამ და კავკასიის თვალწარმტაცმა ბუნებამ. 20 ივნისს ისინი უკვე თბილისში იყვნენ. ჩვენი უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო ლვოველ ამხანაგებს. სტუმრებმა თბილისში დაჰყვეს 4 დღე.

ისინი გაეცნენ ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს: სტუმრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ავლაბრის უოფილმა არალეგალურმა ბოლშევიკურმა სტამბამ, რომელიც კონსპირაციული მუშაობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა.

მათ დაათვალიერეს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, ღვინის ქარხანა, ესტუმრნენ კომკავშირის ხეივანს, მათზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ბოტანიკურმა ბაღმა და „თბილისის ზღვამ".

სტუმრები დაინტერესებულნი იყვნენ არა მარტო ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებით, არამედ მათ ექსკურსიას ჰქონდა სამეცნიერო-კვლევითი მიზანიც. შეისწავლეს საქართველოს ბუნება, შეაგროვეს კოლექციები, დაამზადეს ჰერბარიუმები, გაეცნენ თბილისის საწარმოებისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშაობას, ისინი მდიდარი შთაბეჭდილებით გაემგზავრნენ ჩვენი უნივერსიტეტიდან. ლვოველი სტუდენტები იყვნენ გორშიც. ისინი ეწვევიან აჭარასა და აფხაზეთს, აქედან კი შავი ზღვით გაემგზავრებიან ყირიმში.

ზ. მღებრიშვილი



სურათზე: ეკონომიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტს ციალა შეყრილაძეს ამხანაგები ულოცავენ ფრიადის მიღებას რუსულ ენაში.

ფოტო ვ. მჭედლიშვილისა

# გისურვებთ გამარჯვებებს ცხოვრების ფართო სარბიელზე!

## გმადლობთ მშობლიურო უნივერსიტეტო!

არ შემიძლია უღრესი კმაყოფილებით არ აღვნიშნო ის, რომ ჩემს მომავალ პროფესიად ჟურნალისტობა ავირჩიე. მართალია, მე ჯერ კიდევ პატარა ბავშვი ადრითგანვე ვეწაფებოდი ქართულ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებს და უკვე მესამე კლასის მოწაფეს რაიონულ გაზეთ „სიმართლეში" დამიბეჭდეს პატარა ინფორმაცია, მაგრამ, რასაკვირველია, ასეზის მართალია ცნობილი ჩეხი მწერალი და ჟურნალისტი კ. ჩაპეკი, როცა ის თავის იუმორისტულ სერიაში—„როგორ კეთდება გაზეთი" წერს: „მე არ ვიცნობ არავის, რომელსაც ბავშვობიდანვე ეოცნებოს ჟურნალისტად გახდომაზე".

ჩემს მომავალ მუდმივ საქმიანობად ჟურნალისტური პროფესიის არჩევა ჩემში მხოლოდ საშუალო სკოლის უფროს კლასებში მომწიფდა, როცა მე მტკიცედ გადავწყვიტე ამ სპეციალობით მიმეღო უმაღლესი განათლება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჩემი ოცნება განხორციელდა — მე უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების პირველი გამოშვების კურსდამთავრებული ვარ. ახლა მე უდიდესი მადლიერების გრძნობით ვიგონებ მშობლიურ უნივერსიტეტში გატარებულ ხუთ წელს, სადაც მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების უშუალო ხელმძღვანელობით ვეუფლებოდი ჩემს მომავალ საყვარელ პროფესიას.

გმადლობთ მშობლიურო უნივერსიტეტო, გმადლობთ... მაგრამ განა საკმარისია მხოლოდ უბრალო სიტყვიერი მადლობა გადაუხადო იმას, ვინც აღგზარდა, დაგავაჟკაცა, ინტელექტუალურად მოგამწიფა? არავითარ შემთხვევაში! და მე მტკიცე სიტყვას გაძლევ — არ დავზოგო ჩემი ძალღონე საყვარელი საბჭოთა დედა-სამშობლოს უანგარო სამსახურში, პრაქტიკულად დავეუფლო ჩემს მომავალ პროფესიას, რაც, ჩემის აზრით, ძვირფასი აღმზრდელის—მშობლიური უნივერსიტეტისადმი მისი აღზრდილის მიერ ყველაზე კარგი მადლობის გადახდა იქნება...

**დ. გვილესიანი,**
ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების კურსდამთავრებული.

## მივდივართ იქ, სადაც საჭირო ვართ

დიდია ჩვენი საყვარელი სამშობლო. მის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე შორეულ ჩრდილოეთსა და მზიან სამხრეთში, შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმული გმირი საბჭოთა ხალხი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გიგანტური ნაბიჯებით მიემართება წინ, კომუნიზმის მცელვარე მწვერვალებისაკენ. ხორციელდება დიადი გარდაქმნები: აყვავებულ ბაღნარად იქცევიან ჭაობები, არხებით ისერება უდაბნოს ველები, კალაპოტს იცვლიან მდინარეები, ჯეჯილი ბიბინებს ყოფილ ყამირ მიწებზე.

არაფერია იმაზე მეტი ბედნიერება, როდესაც საშუალება გეძლევა მონაწილეობა მიიღო კომუნიზმის მშენებელთა საზოგადოებაში, იშრომო სამშობლოს სადიდებლად, იშრომო ბედნიერი მომავლისათვის. და აი, ჩვენც, ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთაც ესოდენ დიდი ამაგი დაგვდო სამშობლომ, შესაძლებლობა გვეძლევა უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ჩავებათ საერთო შრომაში, წავიდეთ და ვიმუშაოთ იქ, სადაც საჭირო ვართ, იქ, სადაც პარტია მოგვიხმობს.

მე და ჩემს ამხანაგებს დიდი ბედნიერება გვხვდა წილად: სურვილის მიხედვით განაწილებული ვართ სამშობლოს სხვადასხვა ადგილებში. მე ალტაის მხარეში ვიმუშავებ, ალექსანდრე გვაზავა — გორკის ოლქში, მოსე აშაძე — ლენინგრადში და ა. შ. ჩვენ სიამოვნებით მივდივართ დანიშნულების ადგილებზე.

**ვ. შავხელიშვილი,**
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

## მთელი ენერგიით ვიმუშავებ

ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლის დროს მაინტერესებდა, თუ როგორ ხდებოდა ისეთი უზარმაზარი ორგანიზმის გეგმაზომიერი განვითარება, როგორიცაა ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობა თავისი მრავალეროვანი დარგებით.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩემთვის დგება მეტად საპასუხისმგებლო და ამავე დროს მეტად საინტერესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში — უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე მიღებული თეორიული ცოდნა დავუკავშირო პრაქტიკულ მუშაობას საწარმოო ობიექტზე.

ვგრძნობ რა იმ პროფესიის უდიდეს მნიშვნელობას სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, რომელიც მე ავირჩიე, მთელი ენერგიით ვიმუშავებ იმისათვის, რომ ხელი შევუწყო იმ ამოცანების სწრაფად განხორციელებას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს.

მინდა ვიმუშაო ისე, რომ ჩემი შრომით პატივი ვცე ჩემს მასწავლებლებს, რომლებიც მზრდიდნენ დიდი სტალინის სახელობის უნივერსიტეტში.

**თ. ჭიაბრიშვილი,**
ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

## მე აღვზრდი მომავალ თაობას

ეს იყო ამ ხუთი წლის წინათ. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები ვემშვიდობებოდით მშობლიურ სკოლას. მუდამ მოსაგონარი და საყვარელი მასწავლებლები რჩევა-დარიგებას გვაძლევდნენ უმაღლეს სკოლაში მიმავალთ. როცა ჩემი კლასის ხელმძღვანელს გამოვუტყდი, რომ პედაგოგის საპატიო პროფესია მხიბლავდა, მან მომიწონა არჩევანი და ბევრი რამ მითხრა თავისი გამოცდილებიდან.

საყვარელი მასწავლებლის ეს სიტყვები მუდამ მახსოვდა უნივერსიტეტში სწავლისას, სადაც მონდომებით შევუდექი მეცნიერების საფუძვლების ღრმად შესწავლას, რათა შემდგომში იგი ჩვენი მომავალი თაობისათვის გადამეცა. მასწავლებლის ის დარიგება ახლაც მახსოვს, უკვე კურსდამთავრებულს, რომელიც მომავალი, ახალი ცხოვრების ფართო გზაზე ვდგავარ. დიდი სიხარული განვიცადე მაშინ, როდესაც გავიგე, რომ განაწილებული ვარ მესტიის რაიონის სოფელ მაზერის სკოლის მასწავლებლად. ეს ხომ ჩემი აღმზრდელი სკოლაა, სადაც მე ჩემს ყოფილ მასწავლებლებთან ერთად შევუდგები ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

**ბ. გულედანი,**
ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.



სურათზე — ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები.

ფოტო ვ. მჭედლიშვილისა

## ვეცდები გავამართლო ნდობა

სიყვარული და ინტერესი ფილოლოგიური მეცნიერებისადმი ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში ყოფნისას დამებადა. სწავლა განვაგრძე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილებაზე. პირველი კურსიდანვე ჩვენ გვიკითხავდნენ ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. სპარსული ენისა და ლიტერატურის გვერდით ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის პროცესში ჩემთვის ნათელი გახდა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც სპარსულ ლიტერატურას ენიჭება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის, კერძოდ, ძველი ქართული საერო მწერლობის ისტორიის საკითხების კიდევ უფრო სრული და ყოველმხრივი გაშუქებისათვის. გადავწყვიტე სრულყოფილად დავუფლებოდი სპარსულ ენას და შემდგომ ჩემი ცოდნა ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლაში მომეხმარა.

მონდომებული და ბეჯითი მუშაობით მივაღწიე იმას, რომ ხუთი წლის განმავლობაში სწავლის ფრიადოსანი ვიყავი, სტალინის სახელობის სტიპენდიაც დამენიშნა. ლექცია-სემინარებზე სისტემატური დასწრება-მონაწილეობის გარდა გამუდმებით ვეწეოდი წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა ჩემი ცოდნის ჰორიზონტი. ჩაბმული ვიყავი სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, სადაც ბევრი მოხსენება წავიკითხე. მათგან რამდენიმე სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზეც გავიტანე. აქტიურად ვმონაწილეობდი საზოგადოებრივ საქმიანობაში, ვთავმჯდომარეობდი ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეს.

წელს სახელმწიფო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მიერ შერჩეული ვიქენი როგორც ასპირანტობის კანდიდატი. ჩემი მასწავლებლების ეს დიდი ნდობა ბევრს მავალებს. ამიტომ აქედანვე აქტიურად ვემზადები საკონკურსო გამოცდებისათვის, რათა გავამართლო მათი ნდობა.

**ნ. ბექაური,**
აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

## დაგვილოცავს გზა შემოქმედებისა

„თქვენ დაამთავრეთ უმაღლესი სკოლა და მიიღეთ პირველი წრთობა. მაგრამ სკოლა მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია. კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალ სამუშაოზე, სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლისას, სიძნელეების გადალახვისას. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ მხოლოდ ის კადრებია კარგი, რომელთაც სიძნელეებისა არ ეშინიათ, რომლებიც სიძნელეებს არ გაურბიან, არამედ, პირიქით,—სიძნელეებს ეგებებიან იმისათვის, რომ გადალახონ და ლიკვიდაცია უყონ მათ. მხოლოდ სიძნელეებთან ბრძოლაში იწრთობიან ნამდვილი კადრები". ასე დაამთავრა თავისი სიტყვა დიდმა სტალინმა საბჭოთა არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე. ეს ბრძნული მიმართვა ყველა უმაღლესი სკოლის ყველა გამოშვებას უდგება. იგი გზის მაჩვენებელი მიმართვაა.

ჩვენ წრთობის ორი მოსამზადებელი საფეხური გავიარეთ: მივიღეთ საშუალო და უმაღლესი განათლება, ახლა უნდა მივიღოთ ნამდვილი წრთობა—შევუდგეთ ცოცხალ მუშაობას, შევიდეთ ცხოვრების სიღრმეში.

წრთობის პირველი ორი საფეხური შედარებით ადვილი იყო: იქ გვევალებოდა სწავლა და ამ ამოცანის განხორციელებაში გვეხმარებოდა ყველა — ოჯახი, სასწავლებლის მთელი კოლექტივი, პარტია და მთავრობა, შემდგომი საფეხურის წრთობა კი—ცოცხალი სამუშაო—ყველაზე უფრო მაღალია და ამავე დროს ძნელიც: აქ გვევალება სწავლაც და შემოქმედებაც.

ბუნებრივია, რომ ცოცხალი სამუშაო დაგვიყენებს ახალ-ახალ საკითხებს და მოგვთხოვს მის გადაწყვეტას. აქ სიძნელეები უთუოდ შეგვხვდება. მაგრამ ეს სიძნელეები უნდა დავძლიოთ, უნდა გადავლახოთ. რთული ამოცანის გადაწყვეტაში, ცხადია, პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა დავეყრდნოთ, გაჭირვების შემთხვევაში გვერდით გვეყოლება ფართო საზოგადოებრიობა, შრომითი კოლექტივი, პარტია და მთავრობა.

საერთოდ უნდა ვიცოდეთ, რომ შემოქმედების დროს გადაულახავი დაბრკოლება არ არსებობს, განუხორციელებელ ამოცანებს მიზნად არ ვისახავთ, შეუძლებლის გადაწყვეტას არავინ არ მოგვთხოვს.

მუშაობის პროცესში გამოირკვევა არა მარტო ის, თუ რა დაბრკოლებები გველობება წინ, არამედ ისიც, თუ რა ხარვეზი გვაქვს ცოდნაში, რა ნაკლი მოგვეპოვება მომზადებაში. ამაში ბრალს მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელს ნუ დავდებთ. უნდა ვეცადოთ ამოვავსოთ ეს ხარვეზი, მოვიშოროთ ნაკლი.

ნუ წარმოვიდგენთ, რომ უნივერსიტეტს ჩვენთვის უნდა მოეცა ცოდნის ისეთი სალარო, საიდანაც მხოლოდ ხარჯვა შეიძლება. ცოდნის ასეთი სალარო (და საერთოდ მხოლოდ სახარჯავი სალარო) არ არსებობს. იგი ყოველთვის უნდა შეივსოს ახალ-ახალი განძით.

უნივერსიტეტმა თქვენ მოგცათ საერთო მომზადებასთან ერთად გარკვეული დარგის სპეციალობა, აღგჭურვათ ცოდნით, გაგაცნოთ მეცნიერების ღღევანდელ მიღწევებს, გამოგიმუშავათ ჩვევა კვლევა-ძიებისა და ახლის შეძენისა. ჩვენი ვალია გამოვიყენოთ ეს უნარი—ყოველდღე ვიზრუნოთ გავაღრმაოთ მიღებული ცოდნა და თანდათან გავამდიდროთ შეძენილი გამოცდილება.

უნივერსიტეტში ხუთი ნაყოფიერი წელი გაატარეთ და ბევრ სასიამოდ მოსაგონარ ტკბილ წუთებთან ერთად, შეიძლება, ზოგი სიმწარეც განიცადეთ, და ეს იძლევა საფუძველს, რომ უნივერსიტეტი თქვენი ცხოვრებისა და შემოქმედების თანამგზავრად გაიხადოთ.

გვახსოვდეს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი, მისი პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი მუდამ თქვენთანაა. თქვენს შემოქმედებითს გამარჯვებებს იგი ყოველთვის გაიგებს, მაგრამ ვერ გაიგებს დაბრკოლებებს, რომლებიც წინ შეგხვდებათ, მიმართეთ მას რჩევისათვის და და იგი მუდამ მზად არის თქვენდა დასახმარებლად. აცნობეთ მას, თუ რა ხარვეზია თქვენს მომზადებაში, რაა საჭირო, რომ გაკეთდეს კადრების უკეთ შეიარაღებისათვის. ასეთ შენიშვნებს უნივერსიტეტი დიდი გულისხმიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს. ნურასოდეს ნუ გასწყვეტთ კავშირს უნივერსიტეტთან!

გვახსოვდეს, რომ „წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს ტყვიით სავსე ყუმბარა". ყოველი ჩვენი გამარჯვება მშენებლობის ფრონტზე, ყოველი ჩვენი ახალი აღმოჩენა მეცნიერებაში დაუყოვნებლივ ჰპოვებს ადგილს წიგნში. თუ წიგნი ყოველთვის არ ვიკითხეთ, სულ მოკლე ხანში გავხდებით უბრალო პრაქტიკოსი და ჩამოვრჩებით სწრაფგანვითარებადს ცხოვრებას. ნუ მოვსწყდებით წიგნს!

გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ საბჭოთა ქვეყნის, მსოფლიოში მოწინავე ქვეყნის მოქალაქე. ყოველი ჩვენი ნაბიჯი, ყოველდღიური ჩვენი მუშაობა მის დიდებას, მის საყოველთაოდ აღიარებულ სახელს უნდა ემსახურებოდეს. ვიყოთ ერთგული ჩვენი ხალხისა, ჩვენი ქვეყნისა!

გვახსოვდეს, რომ ყოველი სამუშაო, რომელსაც მოგვანდობენ შრომის ფრონტზე, დიდი იქნება ის თუ პატარა, ერთნაირად მოითხოვს საქმის სიყვარულს, მუყაითობას და კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას. შევასრულოთ მონდობილი საქმე მთელი ცოდნით, მთელი შესაძლებლობით.

გვახსოვდეს, რომ ცოდნის შემოწმება და გაღრმავება, გამოცდილების მიღება ხდება მცირე სამუშაოდან რთულ სამუშაოზე თანდათანობით გადასვლით. ილიას თქმისა არ იყოს, „ყოველი შენობა ძირიდან' ამაღლებულა, მაღლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულა". ნუ დავიწყებთ მიღწევას მაღალი პოსტის ძიებით. მას დიდი საფანელი უნდა, დიდი ცოდნა და დიდი გამოცდილება სჭირია. ეს კი ხანგრძლივი და მუყაითი შრომით შეიძინება. ჩვენს ქვეყანაში ყოველი კარგად შესრულებული საქმე მწვერვალზე აიყვანს ადამიანს.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა—ღირსებას",—ოცნებობდა ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანი. ეს ოცნება ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში განხორციელებულია.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი გულმხურვალედ მოგილოცავთ უნივერსიტეტის დამთავრებას და დაგილოცავთ გზას ფართო შემოქმედებისას!

**პროფ. ვ. თოფურია.**

# გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი სასწავლო წლის დასასრულისათვის

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე 1953/54 სასწავლო წლის საზაფხულო საგამოცდო სესიისათვის სამზადისი დროულად დაიწყო. ამ საქმეში ფაკულტეტის დეკანატს დიდი დახმარება აღმოუჩინეს კათედრებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. საგამოცდო სესია ორგანიზებულად, საქმიან ვითარებაში და მაღალი მომთხოვნელობის ნიშნის ქვეშ ჩატარდა. ფაკულტეტის სტუდენტთა აკადემიური მოსწრება 88,2 %-ს შეადგენს. კარგი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრეს სასწავლო წელი II კ. მე-5 ჯგუფის, III კ. მე-12 და მე-15 ჯგუფების, IV კ. მე-16 და მე-18 ჯგუფების სტუდენტებმა, რომელთა შორისაც არცერთი არაა აკადემიური დავალიანების მქონე.

მაგრამ, ამას ვერ ვიტყვით ჩვენი ფაკულტეტის I კ. პირველი ჯგუფის შესახებ, სადაც 28 სტუდენტიდან 9 სტუდენტი ვერ ასწრებს და I კ. მე-2 ჯგუფის შესახებ, სადაც 25-დან 6 სტუდენტი აკადემიური დავალიანების მქონეა. იგივე უნდა ითქვას II კ. მე-8 და მე-9 ჯგუფების შესახებაც, სადაც აკადემიური ჩამორჩენილობის „სარეკორდო" ციფრები გვაქვს (მე-8 ჯგუფში 28 სტუდენტიდან აკადემიური დავალიანების მქონეა 13 სტუდენტი, ხოლო მე-9 ჯგუფში 30-დან — 12 სტუდენტი). აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე დაწერილი 66 არადამაკმაყოფილებელი ნიშნიდან 25 ნიშანი მე-8 და მე-9 ჯგუფებზე მოდის. ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ აკადემიურად ჩამორჩენილი ზემოხსენებული ჯგუფები დისციპლინის მხრივაც საგრძნობლად მოიკოჭლებენ და ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენებითაც გამოირჩევიან ფაკულტეტზე.

საჭიროა, ფაკულტეტის დეკანატმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მომავალში უფრო მეტად იმუშაონ ზემოაღნიშნულ ჯგუფებთან. ამ მხრივ დეკანატს კიდევ უფრო მეტი ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ალკკ საკურსო ორგანიზაციების ბიუროებმა. მაგრამ, ბუნებრივია, პირველ რიგში საქმისადმი უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ და სამარცხვინო ჩამორჩენას თავის დროულად დააღწიონ თვით აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებმა, როგორიც არიან, მაგალითად, ზ. არსენიშვილი, ვ. გვენცაძე, ა. კორინთელი, ც. კარდენახიშვილი, გ. ჭლაჭიშვილი, გ. კორკოტაძე, ო. ოქროშვილი და სხვ. ასინი უნდა ეცადონ, რომ მათთვის შექმნილი პირობები მაქსიმალურად გამოიყენონ და მოწინავე სტუდენტებს გვერდში ამოუდგნენ.

მიმდინარე წლის 10 ივნისიდან 26 ივნისამდე ფაკულტეტზე სახელმწიფო გამოცდები მიმდინარეობდა. სახელმწიფო გამოცდებზე კურსდამამთავრებელთა უმრავლესობამ აკადემიური მომზადების მაღალი დონე გამოამჟღავნა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ც. ახალაძის, ვ. ფხოველიშვილის, ა. ქვარცხავას, ე. გობოზოვას, დ. გოძიაშვილის, ე. კოტეტიშვილის კარგი პასუხები. მაგრამ, ამას ვერ ვიტყვით გ. მამალაძის, თ. მჭედლიშვილის, ტ. ღავთაძის, რ. მეგრელიშვილის და სხვათა შესახებ, რომლებმაც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს.

წელს ჩვენმა ფაკულტეტმა დედა-სამშობლოს მისცა 100-მდე მაღალკვალიფიციური გეოლოგი, ჰიდროლოგი, კლიმატოლოგი, გეომორფოლოგი, ფიზგეოგრაფი, და ეკონომგეოგრაფი, რომლებიც მოკლე ხანში შეუდგებიან პრაქტიკულ მოღვაწეობას ჩვენი დიადი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკებში.

საგამოცდო სესიის დამთავრების შემდეგ, 1 ივნისიდან, ფაკულტეტის ყველა კურსზე დაიწყო საზაფხულო-საველე პრაქტიკა. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩასატარებლად ფაკულტეტმა სამზადისი დროულად დაიწყო. პრაქტიკის ხელმძღვანელებად გამოყოფილი არიან საკმაოდ გამოცდილი მასწავლებლები — პროფ. გ. ძოწენიძე, პროფ. ტ. ათაბეგოვი, დოც. ნ. სხირტლაძე, დოც. ნ. უკლება, დოც. ა. ასლანიკაშვილი და სხვ.

საწარმოო პრაქტიკის ობიექტები დროულად იყო შერჩეული კათედრების მიერ. პრაქტიკა ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში ჩატარდება. მაგრამ, III კ. მე-10 ჯგუფს (ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიის სპეციალობა) პრაქტიკის გავლა მოუხდება ყირიმის ოლქსა და მოსკოვის მიდამოებში. აღნიშნული ჯგუფის პრაქტიკას ხელმძღვანელობენ პროფ. ტ. ათაბეგოვი და ასისტ. ა. ტერელაძე.

ფაკულტეტის ხელმძღვანელობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ პრაქტიკანტი სტუდენტები მაქსიმალურად გამოიყენებენ მათთვის შექმნილ პირობებს და ღირსეულად ჩაატარებენ ანგარიშგებას სათანადო კათედრების წინაშე.

დოც. **ი. ჯიბლაძე**,
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

# უკვე მეხუთეკურსელები ვართ

„სამი განუყრელი მეგობარი"—ასე ეძახიან ისტორიის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ნათელა როდონაიას, ნელი სიმონგულოვას და ლამარა ეძგვერაძეს მათი ამხანაგები. ჯერ კიდევ სკოლის მერხზე დამეგობრებული ეს სამი სიცოცხლით სავსე ქალიშვილი მტკიცედ ატარებენ ადამიანისათვის ესოდენ კეთილშობილურ გრძნობას — მეგობრობას. ერთად სწავლობდნენ, სამივემ ერთად მოიპოვა უფლება საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძობისა, ერთად გადაწყვიტეს მომავალი ცხოვრების მიზანი და ახლაც უკვე, უნივერსიტეტის ერთი ფაკულტეტის სტუდენტები, მხარდამხარ ერთად მიაბიჯებენ მეცნიერების ფართო შარაგზაზე.

ამ დღესაც ერთად მოვიდნენ ისინი უნივერსიტეტში. მაგრამ შეატყობდით, რომ რაღაც განსაკუთრებით ღელავდნენ. „ესეც უკანასკნელი გამოცდა და შემდეგ კი უკვე მეხუთეკურსელები ვიქნებით".— ფიქრობდნენ ისინი. დერეფანში ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ნათელა და ნელი ცალკე წავიდნენ. ლამარამ კი მარტო განაგრძო გზა. მათ სხვადასხვა აუდიტორიებში ჰქონდათ გამოცდები...

გამოცდის ჩაბარების შემდეგ აუდიტორიიდან დერეფანში პირველად ნათელა როდონაია გამოვიდა, მას გულზე მიეკრა თავისი მატრიკული, რომელშიც ჯერ „ფრიადზე" ნაკლები შეფასება არასდროს ჩაწერილა და ამჯერადაც მეორმოცე „ფრიადი" ხაუწერია გამომცდელს. მეც „ფრიადი" მივიღე,—შეეგება მას ლამარა ეძგვერაძე, რომელსაც აგრეთვე „ფრიადი" მიეღო უცხო ენაში. ჟღებ დერეფანში მათ ხმა მოესმათ,—ეს ნელი სიმონგულოვა მოდიოდა მათკენ მატრიკულით ხელში. სამი „ხუთიანი" ჩაიწერა ამ დღეს სამი განუყრელი მეგობრის მატრიკულში.



გახარებულები გამოვიდნენ გოგონები უნივერსიტეტის ეზოში. გამოუთქმელ სიხარულს განიცდიდნენ ისინი. „გოგონებო, ჩვენ ხომ უკვე მეხუთეკურსელები ვართ",— ეუბნებოდა მათ ნელი.

მეც, ჩვენც—მოისმა ბაღში რევაზ დონაძის, ეთერი ასლამაზოვისა და ნაირა კობერიძის ხმა.—მართლაც რა სასიხარულოა, უკვე მეხუთეკურსელები ვართ, თითქოს კი გუშინ იყო, რომ უნივერსიტეტში შემოვედით—იგონებდნენ მეოთხეკურსელები. ეხლა კი უკვე სადიპლომო ნაშრომზეც უნდა ვიფიქროთ, თქვა ნათელა როდონაიამ.

საგზურები მგონი ყველას მოგვეცით,— გაახსენდა კურსხელმძღვანელს რევაზ დონაძეს.—აბა თქვენ იცით, როგორ საინტერესოდ ჩაატარებთ ლექციებს. შენ, მგონი, სოფელში მიდიხარ —მიუბრუნდა ის ეთერი ასლამაზოვს, კოლმეურნეებს წაუკითხე შენი მოხსენება, ძალზე საინტერესო თემაზე, „კომუნისტური პარტია საკოლმეურნეო წყობილების ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში".

მალე ყოფილი მეოთხეკურსელები, ეხლა კი უკვე მეხუთეკურსელები, ცხოვრების ყველაზე უფრო გადამწყვეტი პერიოდის წინ წარდგებიან.

**მ. ჯოლია**

# თავხედობა თუ უპასუხისმგებლობა?

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს კარგად ახსოვთ მიმდინარე წლის 9 ივნისს ორჯონიკიძის სახელობის პარკში ჩატარებული უნივერსიტეტის სტუდენტთა მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობდნენ პ. ამირანაშვილი და მ. ნაკაშიძე. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა და გამოავლინა მხატვრული თვითშემოქმედების მონაწილე სტუდენტთა ოსტატობის შემდგომი სრულყოფა.

მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კონცერტის ჩატარებისადმი ზოგიერთი სტუდენტის უპასუხისმგებლო, პირდაპირ არაპატრიოტულ დამოკიდებულებას. კონცერტში მონაწილე ყველა სტუდენტისათვის ცნობილი იყო კონცერტის ჩატარების ადგილი და დრო. მიუხედავად ამისა, მოიქცნენ რა თავხედურად და გამოავლინეს რა საერთო საქმისადმი უპასუხისმგებლო, გულგრილი დამოკიდებულება, კონცერტზე არ გამოცხადდნენ: ლ. ცხოვრებაშვილი (ისტორიის ფაკ. V კ. სტუდენტი), ე. მამავარიანი (იურიდიული ფაკ. V კ. სტუდენტი), ც. ხარებავა (ისტორიის ფაკ. V კ. სტუდენტი), რასაც შედეგად რამდენიმე კარგი ნომრის ამოვარდნა მოჰყვა კონცერტის პროგრამიდან.

ფილოლოგიის ფაკულტეტის (რუსული განყოფილება) II კურსის სტუდენტის ი. მოსეშვილის თავხედობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. მისი აღმაშფოთებელი უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგად კინაღამ ჩავარდა კონცერტი. ი. მოსეშვილს წაღებული ჰქონდა ნოტები საკვირისათვის. ორკესტრი გასაჭირიდან გამოიყვანა გ. ცერცვაძემ, რომელმაც იკისრა პასუხისმგებლობა ზეპირად შეესრულებინა თავისი პარტია ორკესტრში. როგორც ჩანს, ი. მოსეშვილი არც კი შეუწუხებია ამ ამბავს. ნოტები მას დღემდე არ დაუბრუნებია ორკესტრისათვის.

ასეთი მოქმედება მიჩნეულ უნდა იქნას, როგორც საერთო საქმისადმი ხელის შეშლა, რისთვისაც ეს ამხანაგები სასტიკ გაკიცხვის ღირსნი არიან. მათ პასუხი უნდა აგონ უნივერსიტეტის წინაშე.

**გ. კალაძე**

# მზის დაბნელება

ბუნების მოვლენათა შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესოს მზის დაბნელება წარმოადგენს. იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე, რომელიც დაბნელებას პირველად ხედავს.

ასტრონომების მიერ ზუსტად წინასწარგამოთვლილ წუთზე მზის ბადროს დასავლეთ კიდეზე თითქოს რაღაც „ბინდი" შემოიჭრება; ბადრო თავის მრგვალ ფორმას ჰკარგავს. „ბინდი" რამდენიმე ათეული წუთის განმავლობაში თანდათანობით გადაუვლის მზეს და დაჰფარავს მას მთლიანად ან ნაწილობრივ. დღე დაჰკარგავს ჩვეულებრივ სინათლეს, ადვილად შევამჩნევთ ფრინველებისა და ცხოველების შეშფოთებას, ამავე დროს ვიგრძნობთ აგრილებას.

თუ „ბინდი" მთლიანად გადაეკვრის მზის ბადროს, მაშინ თითქმის სავსებით ჩამოღამდება და დაღამებულ ცაზე ვარსკვლავები აინთება. ხოლო იმ ადგილას, სადაც მზის მოკაშკაშე ბადრო ბრწყინავდა, კუპრივით შავი ბადრო გამოჩნდება, რომელიც გარშემოვლებულია მკრთალი ვერცხლისფერი სხივური არშიით, რაც მზის ატმოსფეროს გარე ნაწილს, ე. წ. გვირგვინს წარმოადგენს. ბადროს კიდეებზე გამოჩნდება პროტუბერანსები — მზის წიაღიდან ამოფრქვეული ალისფერი შვერილები. ყველაფერი ეს მეტად მიმზიდველ სურათს წარმოადგენს.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება. რამდენიმე ათეული წამის შემდეგ „ბინდი" მზის ბადროს სცილდება, მზე კვლავ გამოანათებს, ვარსკვლავები ცაზე გაქრებიან და ბუნებაში ჩვეულებრივი დღის სინათლე დადგება.

მზის სრული დაბნელება ერთი და იმავე ადგილისათვის მეტისმეტად იშვიათად ხდება — საშუალოდ ორ-სამ საუკუნეში ერთხელ. უფრო ხშირად ჩვენ ვხედავთ მზის ნაწილობრივ დაბნელებას, როდესაც დაბნელდება მზის ბადროს ნაწილი, ხოლო დანარჩენი ნაწილი კვლავ ვვინათებს და ამიტომ სრულ ჩამოღამებასაც არ ექნება ადგილი.

მზის დაბნელება დაკავშირებულია სამი ციური სხეულის ურთიერთ განლაგებასთან სივრცეში. ეს სხეულებია: მზე, დედამიწა და მთვარე.

მზე გავარვარებული ნივთიერების უზარმაზარ სფეროს წარმოადგენს. მის გარშემო მოძრაობენ პლანეტები ანუ ცთომილები სხვადასხვა სიჩქარით. ცთომილები მზისაგან ღებულობენ სინათლესა და სითბოს. საკუთარი გამოსხივება მათ არა აქვთ, რადგანაც ცივ სხეულებს წარმოადგენენ.

ჩვენი დედამიწაც ერთ-ერთი ცთომილთაგანია. დედამიწა მზისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული და ამ მანძილზე თითქმის წრიული გზით უვლის იგი გარს მზეს. (ერთი შემოვლისათვის ერთი წელიწადი ჭირდება).

მთვარე დედამიწის გარშემო მოძრაობს ისევე, როგორც დედამიწა მზის გარშემო და ისიც აგრეთვე თითქმის წრიული გზით, ერთ შემოვლას დაახლოებით ერთ თვეს ანდომებს.

დროდადრო მზე, დედამიწა და მთვარე ისეთ ურთიერთმდებარეობაში მოექცევიან, რომ მთვარე მზესა და დედამიწას შორის ჩამოდგება. და მასზე დაფრქვეულ მზის სხივებს დედამიწამდე აღარ გამოუშვებს. ამის შედეგად დედამიწაზე ეცემა მთვარის ჩრდილი, რომელსაც დაახლოებით წრიული კონუსის სახე აქვს და დედამიწის იმ ადგილებში, რომელნიც ამ ჩრდილში მოექცევიან, მზის დაბნელება მოხდება.

1954 წლის 30 ივნისის მზის დაბნელების ნაწილობრივი ფაზა დაფარავს მთელი ევროპის კონტინენტს, აზიის დიდ ნაწილს, ჩრდილო ამერიკას, მთელ არქტიკას და აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს.

სრული ფაზის ზოლი კი გადაიჭიმება ჩრდილო-ამერიკის კონტინენტის ცენტრალური ნაწილიდან ატლანტის ოკეანეზე, ისლანდიის სამხრეთ სანაპიროებთან და სკანდინავიაზე გავლით შემოიჭრება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ბალტიისპირეთში, შემდეგ გამოემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, დაფარავს კიევს, დნეპროპეტროვსკს, გაივლის მდინარე ყუბანის სათავეებზე, გადაკვეთს კავკასიონის ქედს და გადმოიჭრება საქართველოს ტერიტორიაზე 16 საათსა და 23 წუთზე, თბილისის დროით. დასავლეთ საქართველოში დაფარავს მხოლოდ ქლუხორსა და შოვს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — თუშ-ფშავ-ხევსურეთის რაიონებს, აღმოსავლეთ ქართლის ნაწილს და თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით — გარე კახეთის უმეტეს ნაწილს და მთელ შიგა კახეთს.

შემდეგ ჩრდილი გადაივლის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, გადაკვეთს კასპიის ზღვას, გაივლის ირანისა და ავღანისტანის ტერიტორიებზე და შეიჭრება ინდოეთის მიწა-წყალზე, სადაც კი იგი მოწყდება დედამიწის ზედაპირზე, ე. ი. ამ დროისათვის მთვარე იმდენად გადაადგილდება სივრცეში, რომ მისი ჩრდილის კონუსი აცდება დედამიწის სფეროს.

საქართველოს სსრ ტერიტორიის ზოგიერთ ადგილას გამოჩნდება მზის სრული დაბნელება, ზოგან კი — ნაწილობრივი დაბნელება.

სრულ დაბნელებას დაინახავენ შემდეგ დაბა-ქალაქებში: ქლუხორი, შოვი, ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი, საგარეჯო, სართიჭალა, სიღნაღი, წითელწყარო, თელავი, გურჯაანი, ლაგოდეხი და სხვა; საქართველოს ყველა სხვა პუნქტში კი დაბნელებას დავინახავთ როგორც ნაწილობრივს, მაგრამ მზის ბადროს დაბნელებული ნაწილი ყველგან 96 %-ზე მეტი იქნება. კერძოდ თბილისში მზის დაბნელება იქნება მხოლოდ ნაწილობრივი, მაგრამ დაბნელდება მზის ბადროს ძალიან დიდი ნაწილი, სახელდობრ 99,6 %. მაშასადამე, აქ დაბნელების შუა მომენტში 17 საათსა და 37 წუთზე (თბილისის დროით) თითქმის მთელი ბადრო იქნება დაფარული. ნაწილობრივი დაბნელება თბილისში დაიწყება 16 საათსა და 30 წუთზე. ხოლო დამთავრდება 18 საათსა და 38 წუთზე.

მზეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედამიწის მცხოვრებთათვის, ამიტომ, მისი ბუნების ყოველმხრივ შესწავლა, მისი ფიზიკური მოვლენების გამოკვლევა დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს.

მზის გამოსხივების ცვალებადობა გავლენას ახდენს დედამიწის მაგნიტიზმზე, რადიოტალღების გავრცელებაზე, ამინდზე და სხვა.

ყველა ის მოვლენა, რომელსაც ასტრონომები ყოველდღიურად აკვირდებიან, მზის ატმოსფეროს იმ ფენაში მიმდინარეობს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ბრწყინვალე ბადროს სახით და რომელიც მოწმენდილ დღეს ყოველთვის არის მისაწვდომი დაკვირვებისათვის.

მაგრამ მზე გარემოცულია შორს განფენილი ატმოსფეროთი. ფოტოსფეროს ბრწყინვა დიდად ჰარბობს გარე ფენების სიკაშკაშეს. მხოლოდ მზის სრული დაბნელების დროს, როცა მთვარე მზის კაშკაშა ბადროს შავი ბინდის სახით ჩამოეფარება და „დაბნელებს" მის ბრწყინვალე ფოტოსფეროს, დამკვირვებელი დაინახავს ატმოსფეროს გარე ნაწილს ქრომოსფეროსა და გვირგვინის სახით. უკანასკნელთა შესწავლა კი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ფოტოსფეროსი.

სწორედ ამიტომ აქვს მზის სრულ დაბნელებაზე დაკვირვებას უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირში მზის დაბნელების მეცნიერული შესწავლა ყოველთვის გეგმაზომიერად და ფართო მასშტაბით მიმდინარეობს. ოცდაათამდე სამეცნიერო ექსპედიცია გაიშლება მზის სრული დაბნელების ზოლში ბალტიისპირეთიდან კასპიის ზღვამდე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის, გეოფიზიკის ინსტიტუტისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის ექსპედიციების ჯგუფები განლაგდებიან ლაგოდეხის რაიონში და მყინვარწვერზე; ისინი მოღრუბლული ამინდის შემთხვევაში მაღლა თვითმფრინავიდან მოახდენენ დაკვირვებას.

ყველა უნდა ეცადოს, რომ ნახოს, დააკვირდეს ამ იშვიათსა და საინტერესო მოვლენას.

**ვ. ქაშია**,
ასტრონომიის კათედრის ასპირანტი.

# სად გავატაროთ არდადეგები

საგაზაფხულო სესიების დამთავრების შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტის რექტორატმა სტუდენტთა მიერ სპეციალობის უკეთ დაუფლების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ჩაატარა. ბევრი სტუდენტი გაგზავნა საწარმოო პრაქტიკაზე, ექსპედიციებში და სასწავლო ექსკურსიაზე.

უნივერსიტეტის ასობით სტუდენტი მოემგზავრება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში საწარმოო ექსკურსიებზე; ისინი პრაქტიკულად გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის საწარმოების მიღწევებს, სოფლის მეურნეობისა და მტს-ების საქმიანობას, კიდევ უფრო ღრმად შეისწავლიან ჩვენი ქვეყნის ფლორასა და ფაუნას, გაეცნობიან მის ბუნებრივ სიმდიდრეებს, უფრო უკეთ შეისწავლიან ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის ისტორიას. ამ მხრივ დიდ მუშაობას ატარებენ გეოგრაფია-გეოლოგიის, ისტორიის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა ფაკულტეტები.

უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომმა, ისევე, როგორც გასულ წელს, დროულად დაიწყო მზადება სტუდენტებისათვის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების უზრუნველსაყოფად. მიმდინარე წელს, ზაფხულის პერიოდში, უნივერსიტეტის 250 სტუდენტი დაისვენებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში: კისლოვოდსკში, ბახმაროში, გაგრაში, ცემში, წყალტუბოში, დარიალში, ლიბანში, ესენტუკში და სხვ.

სტუდენტთა პროფკომმა ალკკ კომიტეტთან ერთად შეიმუშავა ზაფხულის პერიოდში ქალაქში დარჩენილ სტუდენტებისათვის კულტმომსახურეობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მეტად საინტერესო ღონისძიებებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებანი დაკავშირებული იქნება სასწავლო-აღმზრდელობით საქმესთან, ექსკურსიების ხელმძღვანელებად შერჩეული იქნებიან გამოცდილი და კვალიფიცირებული ხელმძღვანელები.

ექსკურსიები დაიწყება 1 ივლისიდან და გაგრძელდება 25 აგვისტომდე.

შორეულ ექსკურსიებში მონაწილეობას მიიღებს 250 სტუდენტი. ექსკურსიები ჩატარდება ქ. ლენინგრადში, ქ. ორჯონიკიძეში, ქ. ქუთაისში, ქ. ერევანში, წინანდალში, ბეთანიაში და სხვა. აგრეთვე განზრახული გვაქვს ვეწვიოთ სოფ. დიღმისა და მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებს და აღმოვუჩინოთ მათ სხვადასხვა სახის პრაქტიკული დახმარება.

სტუდენტთა პროფკომი უკვე ადგენს ექსკურსიებში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა სიებს.

ქვემოთ ვათავსებთ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომისა და ალკკ კომიტეტის ერთობლივ გეგმას 1954 წლის ივლის-აგვისტოს თვეებში სტუდენტთა კულტმომსახურეობის ხაზით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

| №№ რიგ. | ჩატარების დრო | ჩასატარებელი ღონისძიება | №№ რიგ. | ჩატარების დრო | ჩასატარებელი ღონისძიება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1—5 ივლისი | ექსკურსია ქ. ორჯონიკიძეში. | 9 | ივლისი აგვისტო | სოფლად ლექციური პროპაგანდის მიზნით 500 სტუდენტის მივლინება. |
| 2 | 6 ივლისი | კოლექტიური სვლა რუსთაველის სახელობის კინო-თეატრში. | 10 | 2 აგვისტო | ექსკურსია საქ. ხელოვნების მუზეუმში. |
| 3 | 10—30 ივლისი | ექსკურსია ქ. ლენინგრადში. | 11 | 6 აგვისტო | ექსკურსია ლისის ტბაზე. |
| 4 | 15 ივლისი | ექსკურსია თბილისის ზღვაზე. | 12 | 10 აგვისტო | ექსკურსია ბეთანიაში. |
| 5 | 20 ივლისი | უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში კინო-ლექციის ჩატარება. | 13 | 15 აგვისტო | ექსკურსია დიღმის მტს-ში. |
| 6 | 25—28 ივლისი | ექსკურსია ქ. ერევანში. | 14 | 20 აგვისტო | ექსკურსია წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში. |
| 7 | 30 ივლისი | ექსკურსია ლისის ტბაზე. | 15 | 22 აგვისტო | კოლექტიური სვლა კინო-თეატრში. |
| 8 | ივლისი, აგვისტო, სექტემბერი | უნივერსიტეტის 250 სტუდენტის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაგზავნა. | 16 | 25 აგვისტო | ექსკურსია ქ. ქუთაისში. |

# გ ვ ა ტ ე მ ა ლ ა

18 ივნისს გვატემალაში შეიჭრნენ რეაქციონერ ემიგრანტთა ბანდები. ინტერვენტთა თვითმფრინავებმა დაბომბეს გვატემალის ქალაქები, მათ შორის დედაქალაქი. სამხედრო გემებმა სროლა აუტეხეს რესპუბლიკის სანაპიროებს. როგორც ირკვევა, ინტერვენცია გვატემალის წინააღმდეგ მომზადებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების მიერ, ხოლო ამ ინტერვენციის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი არის სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი და მისი ძმა, დაზვერვის უფროსი ალენ დალესი.

რას წარმოადგენს გვატემალა?

გვატემალა ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოა, 110 ათასი კვადრატული კილომეტრი საერთო ფართობით და 3,2 მილიონი მოსახლეობით. (1950 წლის ცნობით). მისი დედაქალაქია ქ. გვატემალა, 270 ათასი მცხოვრებით. სახელმწიფო ენა ესპანურია. მოსახლეობის დიდ ნაწილს ადგილობრივი მკვიდრი ინდოელები შეადგენენ, თუმცა მათი დიდი ნაწილი ესპანურ ენაზე ლაპარაკობს. აქ არიან მეტისები, ზანგები და ესპანლები. ამ უკანასკნელთა რაოდენობა მოსახლეობის 1%-ს შეადგენს და გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ სახელმწიფო აპარატში.

რესპუბლიკის მთავარი ბუნებრივი სიმდიდრეა ტროპიკული ტყეები ძვირფასი ხის ჯიშებით. მაგალითად, გვატემალას დიდი რაოდენობით გააქვს წითელი ხე, ხე ბალსი — ესოდენ აუცილებელი საავიაციო მრეწველობისათვის, ქინაქინის ხის ქერქი, გარდა ამისა, აქ ფართოდაა გავრცელებული ჩიკლეს ხე, რომლისგანაც მზადდება სადეჭი რეზინა. ჩიკლეს ექსპორტით გვატემალა მეორე ადგილზეა მსოფლიოში მექსიკის შემდეგ.

სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით გვატემალა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა და სპეციალიზებულია საექსპორტო ევროპული კულტურების წარმოებაზე. სოფლის მეურნეობაში წამყვანია ყავა და ბანანი, რომლებზედაც მოდის რესპუბლიკის მთელი ნათესი ფართობის თითქმის მესამედი. დიდი მნიშვნელობა აქვს შაქრის ლერწამს, კაკაოსა და თამბაქოს. მთავარი მარცვლეული კულტურაა მაისი, რომლის სახესხვაობა ჩვენში სიმინდის სახელწოდებითაა ცნობილი. მესაქონლეობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და უფრო სამომხმარებლო ხასიათს ატარებს.

მრეწველობა ხუსტადაა განვითარებული და უპირატესად წარმოდგენილია რამდენიმე ათეული წვრილი საწარმოთი (თამბაქოს, საპნისსახარში, შაქრისა და სხვ.).

ამერიკის აღმოჩენისა და კოლონიზაციის შემდეგ გვატემალას ტერიტორია ესპანელთა სამფლობელოს წარმოადგენდა და მშრომელი ინდიელები სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდნენ ესპანელი დამპყრობლებისაგან. 1821 წლის სექტემბერში გვატემალამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო 1839 წელს რესპუბლიკად გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, უკვე XIX საუკუნის ბოლოდან გვატემალაში ძლიერდება ამერიკის „იუნაიტედ ფრუტ კამპანიის“ გავლენა, რომელმაც შემდეგში ხელთ იგდო გვატემალის მთელი საპლანერო მეურნეობა, ელექტროსადგურები, რკინიგზები და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები.

1944 წლამდე ამერიკელი მონოპოლისტები განუსაზღვრელად ბატონობდნენ გვატემალაში, მაგრამ იმავე წლის ოქტომბერში გვატემალის მშრომელებმა დაამხეს რეაქციული მთავრობა და შექმნეს დემოკრატიული ხელისუფლება. ამ უკანასკნელმა მოახდინა „იუნაიტედ ფრუტ კამპანიის“ მიწების ნაციონალიზაცია (234 000 ჰექტარი) და ეს მიწა გლეხობას გადაეცა. ცხადია, გვატემალის მთავრობის დემოკრატულმა გარდაქმნებ-




მა უოლ-სტრიტის მმართველობაში გაფთრება გამოიწვია და შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 30-ჯერ სცადა მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება გვატემალაში.

მიმდინარე წლის მაისიდან ამერიკის მმართველი წრეები უკვე აშკარად მოუწოდებდნენ რეაქციულ ძალებს ინტერვენციისაკენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ 15 ივნისს სახელმწიფო მდივანმა დალესმა თავის სიტყვაში მოითხოვა გვატემალაში „წესრიგის დამყარება“. დალესის გამოსვლა თავისებური სიგნალი იყო აშკარა ინტერვენციისაკენ და 18 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ფინანსირებულმა და შეიარაღებულმა ბანდებმა საომარი მოქმედება დაიწყეს გვატემალის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მსოფლიო მშვიდობისმოყვარე ხალხები პროტესტს გამოთქვამენ და მოითხოვენ საომარ მოქმედებათა შეწყვეტას გვატემალაში.

დოც. გ. ზარდალიშვილი

# შეხვედრა სკოლის მასწავლებლებთან

ამასწინათ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დახმარებით ჩატარდა ნორჩ მათემატიკოსთა მეორე საქალაქო ოლიმპიადა. როცა ოლიმპიადის შედეგებს აჯამებდნენ, აზრი გამოითქვა, რომ საშუალო სკოლების მასწავლებელთა შეხვედრა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეცნიერ მუშაკებთან მეტად სასარგებლო იქნებოდა.

...დიდ ნათელ აუდიტორიაში ორმოცამდე სტუმარი შეიკრიბა; თუმცა სადაური სტუმრები არიან? ყველა მათგანმა ხომ ჩვენი უნივერსიტეტი დაამთავრა — ზოგმა 25 წლის წინათ, ზოგმაც 15 წლის წინათ, შარშანწინ, შარშან!.. აქ თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელს მოუყრია თავი. „მასპინძლებიც“ აქვე არიან...

შეხვედრა გახსნა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ა. ხარაძემ.

დამსწრეებმა ყურადღებით მოისმინეს ფაკულტეტის დეკანის, დოცენტ თ. ცხადაიას მოხსენება. მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ფაკულტეტის ახლანდელ სახეზე, საქმიანობაზე, ამოცანებზე, მომავალზე. კმაყოფილებით იყო აღნიშნული, რომ საშუალო სკოლიდან უფრო და უფრო კარგი მომზადების ახალგაზრდობა მოდის. მაგრამ სამწუხაროა ერთი რამ: ჩვენს ფაკულტეტზე იშვიათად თუ შემოდიან მსურველები მასწავლებლების რჩევით. ჩანს მასწავლებლები მეტი მონდომებით უნდა ეპყრობოდნენ აღსაზრდელებში მათემატიკის სიყვარულის გამომუშავების საქმეს. აღინიშნა ერთი მავნე ტენდენციაც: სახელდობრ, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტს, იმის გამო, რომ აქ შემოსვლის მსურველთა რიცხვი შედარებით ნაკლებია ხოლმე, მედლოსნების ნაწილი, რომელთაც მათემატიკისადმი დიდი მიდრეკილება არა აქვთ, უკანასკნელ მომენტში მოაშურებს ხოლმე იმ ანგარიშით, რომ აქ მისი ჩარიცხვა „ნაღდია“. ასეთი მედლოსნები სესიების დროს ვეღარ ამართლებენ იმედებს და „ირიყებიან“. ამიტომ საბჭოთა მასწავლებლებმა სკოლის კურსდამთავრებულებს საჭიროა ურჩიონ, რომ მათ სწავლა იქ განაგრძონ, სადაც მათ ნამდვილად შეუძლიათ ისწავლონ.

ლაპარაკობდა რა ოლიმპიადების მნიშვნელობაზე, ამხ. ცხადაიამ ხაზი გაუსვა სასკოლო წრეების როლს ოლიმპიადების წარმატებაში. ეს წრეები საჭიროებენ ჩვენს დახმარებას, ჩვენ კი ამისათვის ყველა საშუალება გვაქვს.

მომხსენებელმა აღნიშნა მათემატიკური სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის ნაკლებობა ქართულ ენაზე და ამ ლიტერატურის შექმნის საჭიროება, მით უმეტეს, რომ საამისოდ არსებობს ყველა პირობა, რაც გამოყენებულ უნდა იქნას ჩვენი მეცნიერი მუშაკების მიერ.

მომწიფდა დრო, რომ სკოლებში დადგენილ იქნას მკაცრი მათემატიკური ტერმინოლოგია და ეს ტერმინოლოგია დაუახლოვდეს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულს.

კონტინგენტის შერჩევისა და განთესვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ასისტენტმა ნ. თევზაძემ.

საინტერესო იყო საშუალო სკოლების მასწავლებელთა გამოსვლები. მათ ბევრი საინტერესო საკითხი დააყენეს: არსებულ სტაბილურ სახელმძღვანელოებში გვხვდება შეცდომები, რომლებსაც მასწავლებლებიც ამჩნევენ. საჭიროა სახელმძღვანელოების გაუმჯობესება. ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა მათემატიკის ისტორიის შესწავლას, მათემატიკის სწავლების მეთოდიკას. საჭიროა ცვლილებების შეტანა სასწავლო პროგრამებში, მათი დაახლოება პრაქტიკულ ამოცანებთან. სუსტადაა მიახლოებითი გამოთვლების სწავლების საქმე. სახელმძღვანელოებში ხშირად ტექნიკურ მხარეს ექცევა ყურადღება და არა არსებითს.

ყველა ამ ნაკლის გამოსასწორებლად შეხვედრის მონაწილე მასწავლებლები მოითხოვდნენ დახმარებას მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტისაგან. მათ სამართლიანად უსაყვედურეს ჩვენს მეცნიერ-მუშაკებს, რომ ისინი ნაკლებად წერენ სახელმძღვანელოებს, მათემატიკურ წიგნებს, ნაკლებად ატარებენ პოპულარულ ლექციებს, სემინარებს როგორც მასწავლებლებთან, ისე მოწაფეებთან და სხვა.

თათბირმა შემდგომი მუშაობის პრაქტიკული გეგმის შესამუშავებლად აირჩია კომისია ექვსი კაცის შემადგენლობით. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტიდან კომისიაში შევიდნენ პროფ. ა. ხარაძე, პროფ. ვ. კუპრაძე და დოც. თ. ცხადაია.

თ. ებანოიძე

# ჩვენი კალათბურთელები ქუთაისში

ჩვენი უნივერსიტეტის კალათბურთელ ვაჟთა მეორე ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი დ. ქამუშაძე) 1954 წლის საქალაქო პირველობაზე მეორე ჯგუფში დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის სახელი.

უფრო მეტი გამოცდილების მიღების მიზნით, ქუთაისის ფიზკულტურის კომიტეტთან შეთანხმებით, 22 ივნისს ჩვენი გუნდი გაემგზავრა ქ. ქუთაისში, ადგილობრივ გუნდებთან ამხანაგური თამაშის ჩასატარებლად.

სტუმართმოყვარე ქუთაისში გულთბილად მიგვიღეს. პირველ დღეს დავისვენეთ, მეორე დღისათვის კი დაინიშნა ჩვენი შეხვედრა ქუთაისის ნაკრებ გუნდთან.

დადგა მეორე დღეც—24 ივნისი.

გაისმა მსაჯების სასტვენის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ერთმანეთს მიესალმეთ და დაიწყო თამაში. ორივე მხარე ცდილობდა გამოეჩინა რაც შეიძლება მეტი ტექნიკა და გამძლეობა. თამაშის პირველი ნახევრის დასასრულს ანგარიში იყო 16:5 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ.

თამაში ბოლომდე ჩვენს გუნდს მიჰყავდა და მანვე გაიმარჯვა ანგარიშით 25:24.

ჩვენი გუნდიდან კარგად თამაშობდნენ: ვ. ქარენაშვილი, მ. ზეიადაძე, ი. ქიქოლ. ფოცხვერია.

სტუმარ-მასპინძლებს შორის თბილი საუბრითა და აზრების გაცვლა-გამოცვლით დაილია ეს დღე.

27 ივნისს დილით უკვე ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტში ვიყავით, რომლის ღირსებასაც ვიცავდით ერთი დღის წინ ქ. ქუთაისში.

ლ. გოგიჩაიშვილი

# კათედრების გაერთიანებულ სხდომაზე

ამასწინათ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქული ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ისტორიის კათედრების გაერთიანებულ სხდომაზე განხილულ იქნა კრებული, მიძღვნილი აკადემიკოს ვ. გ ო რ დ ლ ე ვ ს კ ი ს დაბადებიდან 75 წლისთავისადმი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თურქული ფილოლოგიის კათედრის გამგემ დოც. ს. ჯიქიამ. მან ზოგადად დაახასიათა აკად. ვ. გორდლევსკის სამეცნიერო ღვაწლი. შემდეგ კონკრეტულად განიხილა კრებულის ზოგი მხარე. დოც. გაბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ვ. გორდლევსკის მრავალი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული თურქეთის ისტორიის საკითხებზე: ამდენად აუცილებელი იყო ამ კრებულში უფრო ვრცლად ასახულიყო მისი მოღვაწეობის ეს მხარე. შემდეგ მან დაწვრილებით გაარჩია ისტორიული ხასიათის წერილები. დოც. ვ. ფუთურიძემ და ლაბ. ა. გვახარიამ განიხილეს ის წერილები, რომლებიც ეხებოდნენ სპარსული ფილოლოგიის საკითხებს. ასპირანტმა ნ. ჯანაშიამ სხდომას გააცნო კრებულში წარმოდგენილი წერილები თურქული ფილოლოგიიდან.

ა. გვახარია

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000 უე 05826.